ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიასთან)
სხდომის ოქმი
№–89

ქ. თბილისი; 2 ივლისი, 2021 წ. 14:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

ალექსანდრე ხუჯაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – ოთარ ჩიტიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი – მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი – ნატო ბულია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი – ნუცა ცქიტიშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობების შეთანხმების თაობაზე საკითხი;

2. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 884 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.009.068) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ:12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" Nე-484-6-23873 და Nე-484-7-23874 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14."ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა (სადგურის) N78-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.11.030.002.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15._„ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.216.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16._„ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის კორპუს N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.10.002.005.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. „ქალაქ თბილისში, ქართლელიშვილის ქუჩა (ყოფილი კამალოვი) N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.013.074) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი N1, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.039.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-სა და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

20. „ქალაქ თბილისში, ნაკადულის მე-6 გასასვლელ N33-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.33.005.014.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

21. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.101.079) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

22. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე N181ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.224.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

23._„ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N102-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.067) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

24. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.201) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იბერკომპანისთვის" (ს/კ: 231963818) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზზიპ კაფესთვის" (ს/კ: 404604610) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

26. "ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ამირასთვის" (ს/ნ: 405451498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

27. „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.04.013.066) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის" (ს/კ: 404903734) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის** იურიდიული განყოფილების უფროსმა ნატო ბულიამ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით პირველ საკითხად** განსაზღვრული „საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი, არასამთავრობო ხასიათის მუდმივი გაერთიანება) მიერ მშენებლობა შესაძლებელია განხორციელდეს დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ევროკავშირის წარმომადგენლობა ახორციელებს შესაბამის მონიტორინგს საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2008 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისია უფლებამოსილია ააშენოს ან გადააკეთოს შენობა-ნაგებობები ან განახორციელოს მათი სხვაგვარი მოდიფიკაცია მისი საოპერაციო მოთხოვნების შესაბამისად, მისივე მითითებით, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, **პროექტი ითვალისწინებს,** საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისათვის ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობებით მშენებლობაზე თანხმობის მიცემას შემდეგი სახით:

- პროექტის პირველი მუხლის „ა"-ქვეპუნქტი ითვალისწინებს, №01.72.14.056.046, №01.72.14.038.908, №01.72.14.038.907 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შენობა-ნაგებობების განთავსებას უკანა ეზოს და მიჯნის ზონების დაცვის გარეშე, ასევე, ავტოსადგომების ზომების განლაგების და გასასვლელების მიმართ მოთხოვნებისა და ფუნქციური ზონისთვის დადგენილი მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის დაუცველად;

- ზემომითითებული მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით შემოთავაზებულია, №01.72.14.038.966 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობების განთავსება ფუნქციური ზონისთვის დადგენილი მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის, ასევე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოთხოვნების დაუცველად.

ნატო ბულიამ მოხსენების მიწურულს აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და შესაძლებლად იქნა მიჩნეული, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში **განხორციელებულ იქნა ცვლილება** (18.05.2021; N81-51), რითაც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი, არასამთავრობო ხასიათის მუდმივი გაერთიანება) მიერ მშენებლობა შესაძლებელია განხორციელდეს ამ წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში, ხოლო, პროექტით გათვალისწინებული საკითხი, მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი **შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–2 საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, **რაც ითვალისწინებს,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულრების წესებში“** ცვლილებების შეტანას (შემდგომში – წესები) შემდეგი სახით:

- წესების მე–16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რითაც, „ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა“ აღარ საჭიროებს სპეციალურ ზონალური შეთანხმებას სარეკრეაციო ზონა – 1–ში (რზ–1);

- დანართი N1–ის მე–8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რითაც, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვებ სახეობად სარეკრეაციო ზონა 2–ში (რზ–2), სხვა სახეობების გარდა, ასევე განისაზღვრება „·ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზა.”

- დანართი N1–ის მე–9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რითაც, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვებ სახეობად სარეკრეაციო ზონა 2–ში (რზ–2), სხვა სახეობების გარდა, ასევე განისაზღვრება „·ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზა.”

ოთარ ჩიტიძემ ისაუბრა, პროექტის გამომწვევ მიზეზზე და განმარტა, რომ სწორი ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია ტერიტორიის უზრუნველყოფა შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, ამასთან, განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, მისი მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში **ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობასა და პროექტის პირველი მუხლის პრეამბულას

სტილისტურ–ტექნიკური თვალსაზრისით ჩამოყალიბების საჭიროებაზე, **ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ ღონისძიებაზე:**

- იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი, გარდა რზ–1–ისა, ითვალისწინებს, რზ–2 და რზ–3–ის შემთხვევებში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითად დასაშვებ სახეობად (სპეციალური ზონალური შეთანხმების გარეშე) „ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობ"–ის განსაზღვრას, კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, **ცვლილება ასევე შევიდეს,** დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესების დანართი N1–ის მე–8 მუხლის „ბ" ქვეპუნქტსა და ამავე დანართის მე–9 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში, აღნიშნული ქვეპუნქტებიდან „ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობ"–ის ამოღების მიზნით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მითითებული ქვეპუნქტები ადგენს, რზ–2 და რზ–3–ისათვის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების იმ საგამონაკლისო დასაშვებ სახეობებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას.

აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა, კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–3 საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, ,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ,,დელისი 3''-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, შპს ,,ბიურო 7''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

2008 წლის 6 ივნისის N01/676 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 ივნისს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა და მოითხოვეს ზემოაღნიშნული, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 6 ივნისის N01/767 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება, შესაბამისად, **მითითებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან ერთად, წარმოდგენილი პროექტით, სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ნუსხიდან ამოსარიცხად განხორციელდება ცვლილება** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის ,,ა'' პუნქტით დამტკიცებულ გრაფიკულ **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა"** (დანართი N1) **და დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილში** (დანართი N2).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა მომხსენებელს, პროექტით გათვალისწინებული ცვლილების განმაპირობებელი მიზეზის დაზუსტებასთან დაკავშირებით, რაზეც ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ აღნიშნული გამოიწვია განაშენიანების რეგულირების გეგმის ტერიტორიაზე მესაკუთრეთა ერთობლივმა განცხადებამ გრგ-ს ძალადაკარგულად გამოცხადების თხოვნასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ვინაიდან, აღნიშნული დოკუმენტი მოიაზრებოდა სარევიზიო ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების ნუსხაში (რუკის, გრაფიკულ ნაწილში), მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავება.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, დადგენილების პრეამბულაში ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტის მითითებისა და პროექტის სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნუცა ცქიტიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 4 საკითხად** განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი, რაც **ითვალისწინებს,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული **ქვეპროგრამის „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები"** (კოდი: 06 02 09) **განხორციელების მიზნით, ახალი წესი"–ს დამტკიცებას, ხოლო,** მოქმედი ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 14აგვისტოს №62-91 **დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.**

მოხსენების დასაწყისში ნუცა ცქიტიშვილმა ისაუბრა, **წარმოდგენილი პროექტის, დადგენილების მოქმედ რედაქციასთან შედარებით, არსებულ შემდეგ მსგავსებებზე:**

- **განისაზღვრება** ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების პირობები, ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურები, დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირება, დაფინანსების ოდენობა და პრიორიტეტული ჯგუფები, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პროცედურა, მონიტორინგი და შემოწმების შედეგები;
- **პროექტის დანართ N2–ით მტკიცდება კომისიის დებულება,** რითაც დადგენილია, პროექტის დანართი N1–ით გათვალისწინებული წესით დადგენილი მოსარგებლეების განცხადებების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების თაობაზე, გათვალისწინებულია კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება, კომისიის შემადგენლობა, კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

გარდა რიგი, საკითხების იდენტურად მოწესრიგებისა, მომხსენებლის განმარტებით, პროექტი დადგენილების მოქმედ რედაქციასთან შედარებით, შეიცავს შემდეგ ცვლილებებს:

- ემატება ტერმინი - „გადაწყვეტილების განაღდება", რომელიც გულისხმობს სხვა საჭიროების (მედიკამენტის) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მედიკამენტის გაცემას.
- ემატება ტერმინი - „ელექტრონული რეესტრი", რაც გულისხმობს, გააქტიურებული და განაღდებული შემთხვევების აღწერას.

- ხდება ტექნიკურად ტექსტის გასწორება, **ყველგან სადაც, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალიტეტის თავშესაფარია“** მითითებული, **პროექტით მიეთითება - ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/ნ 406153111) მართვაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი“;**
- განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებში მიეთითა, რომ **სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსებისას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ან/და კერძო დაზღვევის (ასეთი დაფინანსებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) თანადაფინანსების შემდეგ დარჩენილი თანხა არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს.** მოქმედ რედაქციაში აღნიშნულ ნაწილში **არ არის მითითება კერძო დაზღვევაზე.**
- დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირების ნაწილში, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ **მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურებას დაემატა ტერმინი - განაღდება**, რომელიც გულისხმობს სხვა საჭიროების (მედიკამენტის) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მედიკამენტის გაცემას. გადაწყვეტილების განაღდება უნდა მოხდეს მისი მიღებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში.
- მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, საქართველოს ფარგლებში არსებული მიმწოდებლის მიერ ანგარიშგებისას წარმოსადგენ დოკუმენტაციის ჩამონათვალში მიეთითა სამსახურის მიერ დადგენილი ფორმის შემთხვევათა ელექტრონული რეესტრი, ნაცვლად რეესტრისა;

მოსმენილებელმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ამ დადგენილების ამოქმედებამდე ქალაქ თბილისის მერიის მიერ გაცემულ საგარანტიო წერილებზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება განხორციელდება ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მიხედვით, ამასთან, პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან დამისი მოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის **თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ნაცვლად – „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 25–ე მუხლის ზოგადი აღნიშვნისა, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მითითების მიზანშეწონილობაზე.

ხოლო, **საკითხის მომხსენებელმა ინიციატივით მიმართა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს,** დადგენილების პროექტში შემდეგის სახის ღონისძიების გათვალისწინების თაობაზე და პროექტის რედაქტირებული ვერსიის

საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაწევის მიზნით:

„დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ **ტექსტში ჩაემატოს სიტყვები** „აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა შესაძლებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან შემოსული ოფიციალური ელექტრონული მეილის საშუალებით." **რითაც, მომხსენებლის მითითებით, ზუსტდება** პაციენტისათვის განსაზღვრული სერვისის საქართველოში მიღების შეუძლებლობის, ამ სერვისის საქართველოში არარსებობის ან/და პირისათვის სერვისის/საჭიროების საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღების რეკომენდაციის შემცველი, **შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოს/პირის** (სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში შესაბამისი პროფილის ექიმი/კონსილიუმი) **დასკვნის, უფლებამოსილი დაწერებულებისათვის მიწოდების ორგანიზაციული მხარე.**

აღსანიშნავია, რომ **კომისიის სხდომაზე დამწერე წევრებმა გაიზიარეს საკითხის წარმომდგენის მიერ მითითებული წინადადება** და შესაბამისი რედაქციით პროექტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განხილვის საკითხი, თავის მხრივ, საკითხის წარმომდგენმაც გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნა.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **კომისიისა და საკითხის წარმომდგენის მიერ, მითითებული შენიშვნის/წინადადებისგათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 5 საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში **ცვლილების შემტან ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო**

გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) რაოდენობის, მოძრაობის მარშრუტებისა და ასევე მათ მიერ გასავლელი კილომეტრაჟის ნაწილში.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილების მიღების შემდეგ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა არაერთი განცხადება და თხოვნა, დედაქალაქში ამჟამად მოქმედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანის შესახებ, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების" მე-2 მუხლის 6[1] პუნქტის მიხედვით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აკრძალული იყო 23:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილება, როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა, რის გამოც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული M2 კატეგორიის ავტობუსებით ყოველდღიური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დასრულების დრო იყო არაუგვიანეს 23:00 საათისა, მას შემდეგ, რაც ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებულ „იზოლაციისა და კარანტინის წესებში" და წესებიდან ამოღებულ იქნა მე-2 მუხლის 6[1] პუნქტი, დღის წესრიგში დადგა შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების სხვა დანართებში, ასევე ახალ მე-4 დანართში.

ვასილ აბულაძემ, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო, პროექტით წარმოდგენილი დანართი 2-ში განსახორციელელი **შემდეგი სახის ცვლილებები:**

- **მარშრუტი №402**- ნაცვლად არსებულისა, იმოძრავებს: ნიკოლოზ ყიფშიძის ქ. - ლევან მიქელაძის ქ. - ილია ჭავჭავაძის I შესახვევის გავლით.

- **მარშრუტი №464** - გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლიდან გიორგი მიროტაძის ქუჩის მიმართულებით მოძრაობას განახორციელებს: მერაბ კოსტავას ქ. - გიორგი ხაჯაძის მოედანი - მერაბ კოსტავას ქუჩის გავლით.

- **მარშრუტი №576** - ნიაბის ქუჩიდან სომხეთის ქუჩის მიმართულებით მოძრაობას განახორციელებს: ნიაბის II შესახვევი - ერისთავის ქ. - ნიაბის I შესახვევი - ნიაბის ქ.

- **მარშრუტი №413** - ვარკეთილის II მ/რ–ში შესვლა, გახოკიძის ქუჩიდან განხორციელდება: სესილია თაყაიშვილის და ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების ქუჩების გავლით, ნაცვლად

არსებულისა. გახოკიძის ქუჩის მიმართულებით მოძრაობა კი განხორციელდება ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების და სესილია თაყაიშვილის ქუჩების გავლით.

- **მარშრუტი №401**- იზრდება ერთი ერთეულით და ხდება 5; ასევე, იზრდება სამუშაო დღეებში არსებული მინიმალური რაოდენობა (3 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 4.

- **მარშრუტი №404** - იმოძრავებს 2 ერთეული, ნაცვლად 3-სა. იცვლება მაქსიმალური რაოდენობაც – ნაცვლად 4 ერთეულისა იქნება 3.

- **მარშრუტი №420** - იზრდება ერთი ერთეულით, ხდება 6; სამუშაო და შაბათ–კვირის დღეებში იზრდება არსებული მინიმალური რაოდენობა ერთი ერთეულით და გახდება 5.

- **მარშრუტი №426** - იზრდება ერთი ერთეულით და გახდება 6; სამუშაო დღეებში იზრდება არსებული მინიმალური რაოდენობა ერთი ერთეულით და გახდება 5.

- **მარშრუტი №466** - მარშრუტზე მოძრაობს 12 ერთეული და იმის გათვალისწინებით, რომ ბრუნის დრო არის 50 წუთი, შესაძლებელია მომსახურება განხორციელდეს 10 ერთეულითაც დაგეგმილი 5 წუთიანი ინტერვალით მომსახურებისათვის.

- **მარშრუტი №524** - აღნიშნულ მარშრუტზე დაგეგმილია 6 წუთიანი ინტერვალი სამუშაო და შაბათ დღეებში, შესაბამისად შესაძლებელია 6 წუთიანი ინტერვალის შენარჩუნება 4 ერთეულით, რაც ასახულია დანართი 2 და დანართი 3-ში.

- **მარშრუტი №511** - იცვლება მაქსიმალური რაოდენობა და ნაცვლად 8 ერთეულისა გახდება 7.
- ლოტი №1-დან მარშრუტი №447-ს, ემატება ერთი ერთეული –ხდება 9, ხოლო ლოტი №3-დან მარშრუტი №466-ს, დააკლდება ერთი ერთეული, ხდება 14. შესაბამისად ლოტი №1-ში, მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 69 ერთეულით (ნაცვლად 68-ისა), ხოლო ლოტი №3-ში მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 42 ერთეულით (ნაცვლად 43 –ისა).

ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ №401, №408, №413, №414, №420, №424, №425, №429, №437, №445, №448, №453, №459, №480, №504, №510, №524, №583 მარშრუტებზე არსებული მგზავრთნაკადის გათვალისწინებით, იცვლება ინტერვალი მოძრავ შემადგენლობებს შორის, შემცირდება მგზავრებისთვის მოლოდინის დროები და გაუმჯობესდება მომსახურება, ამასთან, დაამატა, რომ დანართი 3-ში გათვალისწინებულია მომსახურების გახანგრძლივება 24:00 საათამდე ზემომითითებული ღონისძიებების გათვალისწინებით, ინტერვალების ნაწილში კი კორექტივები შედის №404, №436, №457, №483, №509 მარშრუტებში (მგზავრთნაკადის შესაბამისად) და დანართი 4-ით გათვალისწინებულ №401, №402, №408, №411, №453, №464, №482, №582 მარშრუტებზე გასავლელ კილომეტრებში.

მოხსენების მიწურულს, ვასულ აბულაძემ დასძინა, რომ პროექტით განსაზღვრული ცვლილებების ამოქმედებისთვის **დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და მისი** ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, ამოქმედების შემდეგ, ბიუჯეტის შემოსავალი შემცირდება, ვინაიდან ნებართვების მფლობელ კომპანიებს შეუმცირდებათ 500 ერთეულ ავტობუსზე ნებართვის გაცემის ფასის გადასახდელი ოდენობა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა შემდეგ საკითხზე: ვინაიდან, პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შემტან ქ.თბილისის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილებაში, რომელიც მ/წლის 1 ივლისს უკვე ძალაში შევიდა და შესაბამისად N17-47 დადგენილების ნაწილი გახდა, მიზანშეწონილია ცვლილება, ნაცვლად №80-43 დადგენილებისა, აისახოს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 17-47 დადგენილებაში.

საკითხის წარმომდგენმა, თხოვნით მიმართა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, დადგენილების ამოქმედების ნაწილის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“

კომისიის წევრებმა გაიზიარეს საკითხის წარმომდგენის მიერ მითითებული წინადადება, თავის მხრივ, საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა, კომისიის მიერ გამოთქმულ/წინადადება შენიშვნას.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **კომისიისა და საკითხის წარმომდგენის მიერ, მითითებული შენიშვნის/წინადადებისგათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – **ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 6 საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33–99

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს:

- მითითებული დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნტიდან, აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული **დანართი N5–ის ამოღებას,** რაც ადგენდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლებს";
- ხოლო, წესის მე–11 მუხლის მე–5 და მე–6 პუნქტებით განსაზღვრული დანართი N1–ისა და დანართი N2–ის განსაზღვრული რედაქციით ჩამოყალიბებას, რითაც ხორციელდება აღნიშნული დანართებით დამტკიცებულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილისათვის განსაზღვრული ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებისათვის განსაზღვრულ საცნობი ნიშნის ფორმებში ცვლილებების შეტანა.

მომხსენებლის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებით, კანონის დანართი N1–ის მე–7 პუნქტს დაემატა 7.20.2 პუნქტი, რითაც განისაზღვრა, რომ „**საცნობი ნიშნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი" მქონე სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილი**" – ადგილი, რომელიც განკუთვნილია საცნობი ნიშნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი" მქონე სატრანსპორტო საშუალების დგომისათვის, ნიშნის მოქმედების ზონა საგზაო მონიშვნით განისაზღვრება. ასევე განისაზღვრა, რომ ეს ადგილი შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე კანონის დანართი N1–ის 7.4 საინფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნითა და 8.17 დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფით), მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33–99 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა.

ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ პროექტის მე–2 მუხლის შესაბამისად, დადგენილების პროექტის ამოქმედებამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის საფუძველზე გაცემულ საცნობ ნიშნებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ მათი მოქმედების ვადით.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 45–ე დღეს, პროექტის ამოქმედებისათვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, ამოქმედება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომაროებაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – **ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 7 საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52–1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის სარკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის წარმართვა, ხოლო იმავე მუხლის მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის ფასის გადახდის მდგომარეობის აღრიცხვა და მისი გადახდის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მომხსენებლის მითითებით, **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებზე კონტროლი,** საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, აგრეთვე რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფინანსური აღრიცხვა, გადასახდელი თანხების კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის ინფორმაციის მიწოდება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად სათანადო ღონისძიებების განხორციელების მიზნით განახორციელოს **იმ სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელიც წარმართავს სააგენტოს საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობას.**

მომხსენებელის განმარტებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა წარმოდგენილი პროექტის მომზადების საკითხი და წარმოდგენილი პროექტით, დებულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში „რ[1]" და „რ[2]" ქვეპუნქტების დამატების, მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის „ი" ქვეპუნქტში ცვლილების შეტანისა და ამავე პუნქტიდან „კ" ქვეპუნქტის ამოღების საჭიროება, **ზემოაღნიშნული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.**

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 8 საკითხად** განსაზღვრული, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსნებელმა ისაუბრა პროექტის წინა ისტორიულ პერიოდზე და აღნიშნა, რომ 2009 წლის 3 აპრილის „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" ოქმი N1-ის თანახმად, შპს „აუთდორ ჯის"12 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა (N000001), რომლის მოქმედების ვადაც იწურება 2021 წლის 3 აპრილს, ხოლო, 2009 წლის 3 აპრილის „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" ოქმი N2-ით, შპს „სმოდედვერთაისინგს" 12 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ უძრავ

ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა (N000002), რომლის მოქმედების ვადაც იწურება 2021 წლის 3 აპრილს.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 31 მარტის №21.418.473 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №114 განკარგულების საფუძველზე, ნებართვის მფლობელებთან 2021 წლის 2 აპრილს დადებული შეთანხმებების საფუძველზე, **ნებართვების №1-№2 მოქმედების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 30 ივნისამდე,** ამასთან, დასძინა, რომ მიმდინარე ეტაპზე არსებული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით, **განიხილება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების** საკითხი, თუმცა, შესაბამისი ნორმატიული აქტ(ებ)ის საფუძველზე, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შესახებ აუქციონის საწყისი ფასის დადგენას, აუქციონის პირობების შემუშავებასა და აუქციონის გამოცხადებას, გამარჯვებული პირ(ებ)ის გამოვლენასა და ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული **სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ესაჭიროება გონივრული ვადები,** აღნიშნულის გათვალისწინებით, **აუქციონის საფუძველზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ახალი მფლობელ(ებ)ის გამოვლენის სავარაუდო თარიღია არაუადრეს 2021 წლის პირველი სექტემბერი.**

მომხსენებელის მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუქციონის საფუძველზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ახალი მფლობელ(ებ)ის გამოვლენამდე, **ქალაქ თბილისის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს გაგრძელდეს არსებული ნებართვების ვადა,** რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ქალაქ თბილისში გარე რეკლამის განთავსებით დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის შესაბამისი მომსახურებას გაწევას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ გარე რეკლამების განთავსების ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობიდან შემოსავლის მიღებას, ხოლო, ვინაიდან, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ, 2021 წლის 21 ივნისს, წერილებით მიმართა ნებართვის მფლობელებს, სხვა სანებართვო პირობების უცვლელად, **2021 წლის პირველ სექტემბრამდე** ნებართვების ვადების შესაძლო გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით პოზიციის წარმოდგენის მიზნით, რაზეც, ნებართვის მფლობელებმა 2021 წლის 22 ივნისის №04-01211731668-61 და №10/01211732505-61 წერილებით გამოხატეს თანხმობა, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია,** რომ გარე რეკლამის განთავსების ნებართვების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2021 წლის პირველ სექტემბრამდე, ნებართვების სხვა პირობების უცვლელად.

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებელი სახით მიუთითა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება:

- ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 2009 წლის 3 აპრილს გაცემული ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე არსებულ

უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვებში N000001-ში და N000002-ში მითითებული: „ნებართვის მოქმედების ვადა 2009 წლის 3 აპრილი-დან 2021 წლის 3 აპრილი-მდე“ შეიცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: **„ნებართვის მოქმედების ვადა 2009 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის პირველ სექტემბრამდე“.** ხოლო, ამავე სანებართვო მოწმობებზე თანდართულ სანებართვო პირობებში წინადადება „გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცემა 12 წლის ვადით.“ შეიცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცემა 2009 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის პირველ სექტემბრამდე.“.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 9 საკითხად** განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით.

მომხსენებელის განმარტებით, შპს „აუთდორ ჯის“–თვის 2009 წლის 3 აპრილის ოქმი N1–ის საფუძველზე, 12 წლის ვადით გადაცემული, ქ. თბილისში, მდინარე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვისა და შპს „სმოლ ედვერთაისინგი"–სათვის 2009 წლის 3 აპრილის ოქმი N2–ის საფუძველზე, 12 წლის ვადით გადაცემული, ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადა **განისაზღვრა 2021 წლის 3 აპრილამდე, თუმცა,** ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 31 მარტის და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, ნებართვის მფლობელებთან 2021 წლის 2 აპრილს დადებული შეთანხმებების საფუძველზე, ნებართვების №1-№2 მოქმედების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 30 ივნისამდე.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე დასძინა, რომ ვინაიდან, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის განკარგვის მიზნით აუქციონის გამოცხადებას, გამარჯვებული პირ(ებ)ის გამოვლენასა და ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ესაჭიროება გონივრული ვადები, **ქალაქ** თბილისის საკრებულოს მიერ განიხილება არსებული ნებართვების მოქმედებების ვადის გაზრდა 2021 წლის პირველ სექტემბრამდე, ხოლო, აღნიშნულთა გათვალისწინებით, შესაბამისი ელექტრონული აუქციონების გამოცხადების მიზნით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო **ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ **წერილობით ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული აუქციონის ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებების დადგენა ნებართვის მოქმედების 10 და 15 წლიანი** ვადების შემთხვევებში, კერძოდ:

- **1 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,** რაზეც, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ივნისის №004342121 საექსპერტო დასკვნით დადგენილ იქნა – საბაზრო ღირებულებები:
  1. 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 20 615 513 ლარი;
  2. 15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 31 584 669 ლარი.
- **2 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად,** რაზეც, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ივნისის №004342121 საექსპერტო დასკვნით დადგენილ იქნა – საბაზრო ღირებულებები:
  1. მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო – 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 12 571 920 ლარი;

     15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 19 481 154 ლარი.
  2. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო – 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 7 012 816 ლარი;

     15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 10 524 276 ლარი.

     2 ლოტის ჯამი: 15 წლიანი - 30 005 430 ლარი; 10 წლიანი - 19 584 736 ლარი.
- **10 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული რაიონების შესაბამისად,** რომლის საწყისი საბაზრო ღირებულებები, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ივნისის №004342121 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, დადგენილ იქნა შემდეგნაირად:
  1. 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში ჯამურად - 15 461 555 ლარი;
  2. 15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში ჯამურად - 23 688 397 ლარი.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ განიხილება შესაბამის ნორმატიულ აქტ(ებ)ში ცვლილებების პაკეტის მომზადება, იმ მიზნით, რომ ზემოაღნიშნული აუქციონით გათვალისწინებული გარე რეკლამის განთავსების ადგილებზე არ გავრცელდეს შესაბამისი I კლასის შენობა-ნაგებობების მიმართ ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე მოქმედი მშენებლობის შეტყობინებას წესი და მოთხოვნები, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით აღნიშნული ობიექტები/ლოკაციები განთვასებულია/აღმართულია, ხოლო კანონმდებლობით მოთხოვნილი მშენებლობის შეტყობინების წესის დაცვა, მათ შორის, 1 წელიწადში ერთხელ შეტყობინების განახლება, დამატებით დროსა და რესურსს მოითხოვს.

მომხსენებელმა განაგრძო თქმა და განმარტა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი თანხების დაანგარიშება ეთხოვა, როგორც არსებული ნორმატიული რეგულირების პირობებში, ასევე, იმ დაშვებით, რომ განხორციელდება ზემოხსენებული ნორმატიული ცვლილებები, ხოლო, საექსპერტო დასკვნის მიხედვით, აღნიშნულმა გარემოებამ გავლენა იქონია საწყისი საბაზრო ღირებულების ოდენობაზე. კერძოდ, ზემოთ მოცემული აუქციონის საწყისი საბაზრო ღირებულებები განსაზღვრულია იმ დაშვებით, რომ განხორციელდება ზემოაღნიშნული ნორმატიული ცვლილებები, ხოლო არსებული ნორმატიული რეგულირების პირობებში, მაგალითად, **15 წლის ვადით, 1 ლოტად ნებართვის განკარგვის საწყისი საბაზრო ღირებულება, საექსპერტო დასკვნის თანახმად, განისაზღვრა 30 936 790 ლარით.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე დადგენილი აუქციონის შესაძლო საწყისი საბაზრო ღირებულებებიდან ყველაზე მაღალი ოდენობა დაფიქსირდა ნებართვის 15 წლის ვადით, 1 ლოტად, ზემოხსენებული ნორმატიული ცვლილებების განხორციელების დაშვებით განკარგვის შემთხვევაში, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენს აუქციონით პირთა ფართო წრის დაინტერესება და მაღალი კონკურენციისა და სამართლიან პირობებში აუქციონის ჩატარების უზრუნველყოფა, ქალაქ თბილისის **მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აუქციონზე განკარგულ იქნას გარე რეკლამის ნებართვები 2 ლოტად, 15 წლის ვადით** (მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად), თუმცა, საწყის საბაზრო ღირებულებად განისაზღვროს ექსპერტიზის დასკვნით 1 ლოტად, 15 წლის ვადით ნებართვის განკარგვის შემთხვევაში დადგენილი ჯამური საფასური (31 584 669 ლარი), შესაბამისი ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებების პროპორციულად, კერძოდ:

- მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე ნებართვის განკარგვის ფასი, ნაცვლად 19 481 154 ლარისა, განისაზღვრება **20 506 478 ლარით;**
- მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე ნებართვის განკარგვის ფასი, ნაცვლად, 10 524 276 ლარისა, განისაზღვრება **11 078 188 ლარით.**

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულით უზრუნველყოფილ იქნება ნებართვის განკარგვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მაქსიმალურად ოპტიმალური პირობებით და აუქციონის სამართლიან და კონკურენტულ პირობებში გამართვა, ამრიგად, **ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის შესაბამის განკარგულებაზე თანდართული აუქციონის**

პირობების შესაბამისად,გარე რეკლამის ნებართვის განკარგვის ძირითადი პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- აუქციონი ითვალისწინებს გამარჯვებული პირებისათვის ნებართვის გადაცემას 15 წლის ვადით, 2 ლოტად - მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად, შესაბამისი ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მდებარე, შესაბამის დანართებში მოცემულ ადგილებზე, ამავე დანართებით განსაზღვრული პარამეტრების გარე რეკლამების განთავსების მიზნით.

- აუქციონის სრული საფასური გადახდილ უნდა იქნას ერთჯერადი, წინასწარი გადახდის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში (აღსანიშნავია, რომ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის დღეს მოქმედი პირობების შესაბამისად, ნებართვის მფლობელები საფასურს იხდიან 3 თვეში ერთხელ, შემოსავლის 15%-ის ოდენობით, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ არ ფიქსირდება შემოსავალი - 6 ლარს 1 კვ.მ-ზე);

- გარდა არსებული ობიექტებისა, გამარჯვებული პირი უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განათავსოს გარე რეკლამის მცირე საშუალებები, ერთდროულად (დროის იდენტურ მონაკვეთში) არაუმეტეს მარჯვენა სანაპიროზე არაუმეტეს 470 ერთეულისა, ხოლო მარცხენა სანაპიროზე - არაუმეტეს 360 ერთეულისა. გარე რეკლამის მცირე საშუალებად მიიჩნევა ღია სივრცეებში (მაგალითად, მიწის ნაკვეთზე, გარე განათების ბოძებზე ან/და სხვა კონსტრუქციებზე/ნაგებობებზე) განთავსებული სარეკლამო დანიშნულების მანიშნებლები, რომელიც მიანიშნებს ამა თუ იმ კონკრეტული კომერციული ობიექტის მდებარეობის/ მიმართულების/ საქმიანობის შესახებ და ა.შ.), აგრეთვე, კონკრეტული ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობის რეკლამირების მიზნით, ამ ბიზნეს-სუბიექტის მიმდებარედ განთავსებული, არასტანდარტული, ერთჯერადი სარეკლამო კონსტრუქცია.

- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულ პირს სურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოიპოვოს გარე რეკლამის განთავსების უფლება არსებული ობიექტებისგან განსხვავებულ (დამატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, მცირე საშუალებების აუქციონი პირობებით განსაზღვრულზე მეტ რაოდენობაზე (შემდგომში - „ახალი ობიექტები"), ახალი ობიექტის განთავსების ნებართვის მოპოვების სანაცვლოდ, მან მუნიციპალიტეტს უნდა გადაუხადოს ამგვარი ცვლილებით გამოწვეული გაუმჯობესების შესაბამისი საბაზრო ღირებულება, რომელიც დგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული სხვა აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე. დასკვნა მომზადებულ უნდა იქნას გამარჯვებული პირის დაკვეთითა და ხარჯებით. ნებართვის გამცემი/სააგენტო არცერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს გამარჯვებული პირის მიმართვა ახალი ობიექტის განთავსების თაობაზე და იგი უფლებამოსილია, საკითხი გადაწყვიტოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, პირობების დანართი N3-ში მითითებულ ობიექტებზე და ასევე, სხვა ნებისმიერ ადგილზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუზღუდავად განათავსოს ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფრასტრუქტურა და გაავრცელოს მასზე ისეთი სახის რეკლამა, რომელიც ემსახურება საზოგადოების (მისი ნაწილის) ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. გამარჯვებული პირი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს პირობების დანართი N3-ში მითითებულ ადგილებზე ამავე დანართში მოცემული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათი მოვლა-პატრონობა, რემონტი/განახლება (საჭიროებისამებრ), მათი თავისუფალ მდგომარეობაში შენარჩუნება და მათზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) მიერ მიწოდებული გარე რეკლამის გავრცელება და ამ მიზნით, სხვა შესაბამისი სამუშაოების გაწევა/ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი ხარჯებით.

- აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ აუქციონის სრული საფასურის გადახდის უზრუნველსაყოფად გადასახდელი ბეს/სანაკო გარანტიის ოდენობა შეადგენსსაწყისი საფასურის 10%-ს (მარჯვენა სანაპიროს შემთხვევაში - 2 050 650 ლარი; მარცხენა სანაპიროს შემთხვევაში - 1 107 820 ლარი);

- აუქციონში მინიმალური ბიჯი შეადგენსსაწყისი საფასურის 5%-ს (მარჯვენა სანაპიროს შემთხვევაში - 1 025 325 ლარი; მარცხენა სანაპიროს შემთხვევაში - 553 910 ლარი);

- ოქმის გამოცემიდან 15 კალენდარული დღის ვადაში დაიდება აუქციონისპირობებში მითითებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ნებართვის გამცემის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, არაუმეტეს დამატებით 15 კალენდარული დღით.

- აუქციონის სრული საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, გამარჯვებულ პირს დამატებით განუსაზღვროს გონივრული ვადა, არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, დარღვევის გამოსასწორებლად და დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

- აუქციონის სრული საფასურის (ასევე, დაკისრებული პირგასამტეხლოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებით დადგენილ ან/და ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში გადახდის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (მაგრამ, არაუადრეს 2021 წლის პირველი სექტემბრისა) გაიცემა სანებართვო მოწმობა.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან, ხოლო, მისი მიღება შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლის სახით მიიღებს თანხას აუქციონზე განკარგული ნებართვების სრული საფასურის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ პროექტით წარმოდგენილი საკითხი, მუნიციპალიტეტისათვის ინტერესთა მასშტაბების გათვალისწინებისა და კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველსაყოფად, ინტენსიური განხილვისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისათვის, ამასთან, აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი როგორც პროექტის შინაარსობრივ-სამართლებივი მხარე, ასევე, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიღებული ფინანსური გაანგარიშების შედეგები. კომისიის თავმჯდომარემ, ყურადღება გაამახვილა 2021 წლის პირველი სექტემრიდან გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ახალ მფლობელთა ოპერირების საკითხთან დაკავშირებით, ამასთან, დასძინა, რომ მითითებულ პროცესში მნიშვნელოვანი და საგულისხმო როლი აკისრია ახალი ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ვადების უზრუნველყოფის საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის" პირველი მუხლის მე-6 პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის და ზემოაღნიშნული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მითითების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 10 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, **რაც ითვალისწინებს,** თანხმობის მიცემას, ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ არსებული, N01.13.01.009.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 884 კვ. მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრორაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ. მ მიწის ნაკვეთის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხსენებელის განმარტებით, 2021 წლის 4 მარტს მოქალაქე **თენგიზ ჩუბინიძემ** ქალაქ თბილისის მერიას მიმართა განცხადებით, მის საკუთრებაში არსებული, **ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრორაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის** გაცვლის ფორმის პრივატიზებასთან დაკავშირებით, რაზეც, მომხსენებლის განმარტებით, **ერთხელ უკვე განხორციელდა ადგილმონაცვლეობა,** კერძოდ, ქალაქ თბილისის მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ. მ მიწის ნაკვეთისა და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ. მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N74ა-ში მდებარე 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზება განპირობებული იყო მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქი თბილისი, ზემო ვეძისის დასახლება N74ა-ში მდებარე 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის გაუარესებით, კერძოდ, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დამტკიცებამდე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა - 2, ხოლო აღნიშნული დადგენილების დამტკიცების შემდეგ ვრცელდება სატყეო ზონა. შესაბამისად, მონაცვლეობის განხორციელების შედეგად, მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძეს **საკუთრებაში გადაეცა** N01.14.11.057.100 და N01.14.02.005.027 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულებიდან ირკვევა, რომ მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძეს უარი ეთქვა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.02.005.027) მშენებლობის უფლების მოპოვებაზე და იგი ვერ ახერხებს

მისი საკუთრებით სარგებლობას, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა დამკვეთის განცხადება ს/კN01.14.02.005.027 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა მოცემულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა მიზანშეუწონლად მიიჩნია. გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მითითებით, ხსენებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მაღალი გეოლოგიური საფრთხის ზონაში, ხოლო პროექტირებით გათვალისწინებული იყო გამწვანებული ფერდობის მოჭრა, რაც კიდევ უფრო მეტად შეუქმნიდა საფრთხეს, როგორც საპროექტო. ისე მიმდებარე ტერიტორიას. ასევე, საპროექტო ტერიტორიას არ გააჩნდა სამანქანო მისასვლელი, რაც საპროექტო შენობის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობაა.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ შესაბამის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება გაცვლას დაქვემდებარებული, მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, განმცხადებელი გადაიხდის სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს, ხოლო, თუ კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით განმცხადებელს არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასების შედეგებზე:

- 2021 წლის 24 მარტის N001936421 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: **ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონში, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული, N01.14.02.005.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1021 კვ. მ** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ, 2021 წლის 23 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა **408,400 (ოთხას რვა ათას ოთხასი) ლარი.** აღნიშნული ობიექტი განეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 6-ს (სზ-6), რომლის კოეფიციენტებია K:1 0.2; K2: 0; K3: 0.8.
- ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ არსებული, N01.13.01.009.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 884 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასდა 2020 წლის 11 თებერვალს, რომელიც განახლდა 2021 წლის 6 აპრილს. 2020 წლის 11 თებერვლის N000938620 ექსპერტიზის დასკვნაში დამკვეთის მიერ მოთხოვნილი იყო უძრავი ქონების შეფასება იმ პირობით, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო

განვითარება განხორციელდეს სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე, რაც არ იქნა გათვალისწინებული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 6 აპრილის N0023331821 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ არსებული, N01.13.01.009.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 884 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება,** 2021 წლის 6 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა **1,057,264 (ერთი მილიონ ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას სამოცდაოთხი) ლარი.** ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე დაყრდნობით, აღნიშნული ობიექტი განეკუთვნება საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ს (სსზ-2), რომლის კოეფიციენტებია: K1: 0.7; K2: 4.6; K3: 0.2.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული N01.13.01.009.068 საკადასტრო ერთეულის განკარგვა (გაცვლა), რომელზეც ქ.თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო, **ქალაქ თბილისის მთავრობამ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია,** მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძის თხოვნის დაკმაყოფილება და ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 884 კვ. მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 01.13.01.009.068) პრივატიზება,** საპრივატიზებო საფასურის - **649,000 (ექვსას ორმოცდახრა ათასი) ლარის ოდენობით,** როგორც. წარმოდგენილ საექსპერტო შეფასებებში ეროვნულ ვალუტაში მითითებულ თანხებს შორის სხვაობის არანაკლებ ოდენობა და დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების, გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, **პროექტის პირველ პუნქტში,** გაცვლის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული ქონების **საპრივატიზებო საფასურის** მითითებისა და ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის N21.808.926 განკარგულების დანართად განსაზღვრული ხელშეკრულებაში საკადასტრო კოდების მითითების ნაწილში ტექნიკური ხაოვეზების გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა მომხსენებელს მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები მიწის ნაკვეთის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, იყო თუ არა აღნიშნული უკვე გაცვლის ფორმით პრივატიზებული უძრავი ქონება და რამ განაპირობა აღნიშნული, პროექტის შესაბამისად მონაცვლეობა.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, მუნიციპალიტეტის მიერ მისაღებ უძრავ ქონება იყო გაცვლის ფორმით პრივატიზებული ქონება, რომელსაც ფუნქციური თვალსაზრისით, ჰქონდა შესაბამისი პარამეტრებით, სამშენებლო განვითარების პერსპექტივა, თუმცა, მოსახლეობის პროტესტისა და უარყოფითი განწყობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის საკრებულოში ინიციირება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მოოითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 11 საკითხად განსაზღვრული, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ:12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N0-484-6-23873 და N0-484-7-23874 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და გიორგი ქოჩიაშვილს შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N0-484-6-23873 და N0-484-7-23874 ხელშეკრულებების „გ" პუნქტებით გათვალისწინებული პირობების: „მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.807 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა" და „მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.806 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა", გაუქმების საკითხზე ქ. თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ისაუბრა, განკარგულების პროექტთან დაკავშირებულ საფუძველზე და აღნიშნა, რომ სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2019 წლის 25 სექტემბრის NE-484-6-23873 ოქმისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, გიორგი ქოჩიაშვილს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე 117 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 81.21.06.818) შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე; მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.807 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფით", აღნიშნულ, N81.21.06.818

საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთი გაერთიანებულია N81.21.06.806 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთთან, რომელთა გაერთიანების საფუძველზეც წარმოქმნილია ახალი, N81.21.06.880 საკადასტრო ერთეული.

მომხსენებელის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2019 წლის 25 სექტემბრის NE-484-7-23874 ოქმისა და განსაზღვრული ხელშეკრულებით, გიორგი ქოჩიაშვილს საკუთრებაში ასევე ეადაეცა ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე 118 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 81.21.06.820) შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე; მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.806 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფით", ხოლო, აღნიშნულ, N81.21.06.820 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთი გაერთიანებულია N81.21.06.808 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთთან, რომელთა გაერთიანების საფუძველზეც წარმოქმნილია ახალი, N81.21.06.882 საკადასტრო ერთეული.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ 2020 წლის 20 ოქტომბერს მოქალაქე გიორგი ქოჩიაშვილმა სააგენტოს მიმართა განცხადებებით და ითხოვა N81.21.06.880 და N81.21.06.882 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შეზღუდვების მოხსნა/გაუქმება, ხოლო, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შეზღუდვების მოხსნის თაობაზე პოზიციის გაცემის თხოვნით, რაზეც, **ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაძლებლად მიიჩნია პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შეზღუდვების მოხსნა.**

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ წერილობით მიმართა მოქალაქე **გიორგი ქოჩიაშვილს** და აცნობა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა თუ იგი წარმოადგენდა საექსპერტო/აუდიტორულ დასკვნებს, რომლებიც ასახავდა პრივატიზებული მიწის ნაკვეთების სრულ საპრივატიზებო ღირებულებებსა და აუქციონის დროისთვის ამავე მიწის ნაკვეთებზე შეზღუდვების გარეშე დადგენილ **ღირებულებებს შორის სხვაობებს, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით,** ხოლო, აღნიშნულმა პირმა სააგენტოს წარუდგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 27 აპრილის N5002636121 წერილი, რომლის თანახმადაც:

- **დგინდება, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე, საბაზრო ღირებულებები დადგენილია შეზღუდვა/ვალდებულებების გარეშე და წარმოადგენენ 2019 წლის მდომარეობით მათ საბაზრო ღირებულებებს:**
- N81.21.06.818 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2019 წლის 27 აგვისტოს გაცემულ იქნა დასკვნა N006021419, სადაც აღნიშნული ობიექტი შეფასებულ იქნა **24,102** ლარად;

- N81.21.06.820 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2019 წლის 27 აგვისტოს გაცემულ იქნა დასკვნა N006022419, სადაც აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეფასებულ იქნა **24, 308 ლარად.**
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ზემომითითებული წერილითვე დგინდება პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე საბაზრო ღირებულებების ფასთა შორის სხვაობა, რომელიც არის **0 (ნული) ლარი,** შესაბამისად, აუქციონში გამარჯვებული - მოქალაქე გიორგი ქოჩიაშვილი (პ/ნ:12001025934) **სრულად გათავისუფლებულია თანხის გადახდის ვალდებულებისაგან.**

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში, მოქალაქე გიორგი ქოჩიაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (N81.21.06.818 და N81.21.06.820) **გათავისუფლდება** - „მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.807 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა" და „მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.806 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა", **პირობებისაგან/შეზღუდვებისაგან,** ხოლო წარმოდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის მითითებისა და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა დამაზუსტებელი კითხვებით მიმართა მომხსენებელს, რამ განაპირობა დაინტერესებული პირის მიერ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიმართვა უძრავი ქონების შეფასებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ნაცვლად, ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიმართვა - საკვლევი საკითხი/დასმული შეკითხვა რამდენად იყო რელევანტური განკარგულების პროექტით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისათვის.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიმართვის პროცედურა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ არის ერთგვაროვანი და ხორციელდება სტანდარტული ხასიათით, რაც გულისხმობს, არადაჩქარებული წესით მიმართვას, დადგენილი საფასურის - 100 (ასი) ლარის გადახდის სანაცვლოდ. ხოლო, იმ

შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს აქვს სურვილი საექსპერტო შეფასება მიღებულ იქნა უფრო მოკლე ვადაში, სტანდარტულ ვადებთან შედარებით, აღნიშნული პირი იხდის დაჩქარებული წარმოებისათვის განსაზღვრულ საფასურს, რასაც ადგილი ჰქონდა, პროექტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ დაინტერესებული პირის მიერ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიმართვის შემთხვევისას, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო ყოველთვის ამოწმებს ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხის არსობრივ შესაბამისობას საკითხზე კანონშემდებლობასთან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 12 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე, თვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი ფართების, მოქალაქეებისათვის: ქეთევან ახობაძე (დაკავებული ფართი - 12.89კვ.მ, 2.18კვ.მ), სოფიო კაკაჩია (პ/მ51001001394) (დაკავებული ფართი - 13.69კვ.მ), ნინო გაბისიანი (პ/მ04001003561) (დაკავებული ფართი - 13.17 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

საკითხის მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტთან დაკავშირებული შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს ზემომითითებულა მოქალაქეებმა, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;

- **უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტებით, ასევე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით, რის მიხედვითაც, მოქალაქეები: ქეთევან ახობაძე 1993 წლიდან, სოფიო კაკაჩია 2006 წლიდან და ნინო გაბისიანი 1993 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში;
- ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე ადასტურებს, კოსტავა-დოლიძე-ხილიანის საუბნო განყოფილების შემოწმების შედეგად გაცემული დოკუმენტებით. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქეთევან ახობაძეზე, სოფიო კაკაჩიაზე, ნინო გაბისიანზე და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზების გასწორების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და ამავე პუნქტის ტექნიკურად გაწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის სტილისტურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 13 საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის, IV მ/რ, №55 კორპუსში მდებარე თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების, შემდეგი მოქალაქეებისათვის: **მზიური პაპიაშვილი** (40.72 კვ.მ), **ცისნარი ბოსტოღანაშვილი** (41.94 კვ.მ.), **გელა მანჯაფარაშვილი** (39.99 კვ.მ), **თემურ პეტაშვილი** (20.20 კვ.მ), **დარეჯან მერაბიშვილი**(16.87 კვ.მ), **მაგული ჯაოშვილი**(21.23 კვ.მ), **ირინე გურული** (40.19 კვ.მ) **და ამირანი ონიანი**(19.15 კვ.მ). (საერთო ჯამში გადაეცემათ 240.29 კვ.მ უძრავი ქონება), პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა და ითხოვეს, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ საკითხის გამოკვლევის შემდგომ, რეკომენდაციით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის III განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, დიაინტერესებული პირები მისამართზე ცხოვრობენ **1986 წლიდან დღემდე, ხოლო,** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ცხუმ-აფხაზეთის" საერთო კრების ოქმების თანახმად, ზემომითითებული მოქალაქეები **1991-1997** წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ საცხოვრებელ ფართებში;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტით, აღნიშნული პირები შესაბამის ბაზაში **დევნილად არ არიან რეგისტრირებულნი;**
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისისსაკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და ამავე პუნქტის ტექნიკურად გაწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის სტილისტურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 14 საკითხად** განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ვაგზლის ქუჩა N78-ში, მე-2 სართულზე მდებარე 64.08 კვ.მ ფართის ბინა N10-ის მოქალაქე **ოთარი ყრუაშვილისთვის,** რომელიც 1995 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

საკითხის მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო პროექტთან დაკავშირებული შემდეგი სახის ფაქტობრივი გარემოებები:

- კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **ოთარი ყრუაშვილმა** და ითხოვა მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა;

- დაინტერესებული პირის ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს დოკუმენტით, რის მიხედვითაც, ოთარი ყრუაშვილი მითითებულ მისამართზე ნამდვილად ცხოვრობს 1995 წლიდან; ამასთან, ბინათმესაკუთრეა ამხანაგობა „იმედი-1“-ის ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმით დგინდება, რომ ოთარი ყრუაშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე 25 წელზე მეტია ცხოვრობს;

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებისთვის მიმართული შუამდგომლობებით, მოქალაქის მიერ ფაქტორივად დაკავებული უძრავი ქონება აღირიცხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შემდგომში, აღნიშნული პირისათვის სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თენგიზ ჩიხლაძეს საკუთრებაში ერიცხება ქალაქ მარტვილში N41.09.32.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1400 კვ.მ (სახნავი) მიწის ნაკვეთი და გამსახურდიას ქუჩა I შესახვევი N4-ში, N41.09.04.044.01.507 საკადასტო კოდით რეგისტრირებული ფართი, ხოლო, დანარჩენ პირთა სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, **მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და ტექნიკური ხარვეზის გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

საკითხის მომხსენებელმა ინიციატივით მიმართა კომისიის წევრებს განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში უძრავი ქონების საკადასტრო კოდი ჩასწორებისა და **შემდეგი N01.18.13.030.002.01.010 საკადასტრო კოდის** მითითების **მიზანშეწონილობის საკითხზე.**

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნებისა და საკითხის წარმომდგენის მიერ მითითებული წინადადების/ცვლილების, გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი** თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის

დღის წესრიგის, **რიგით მე – 15 საკითხად** განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩა N11-ში, პირველ სართულზე, მდებარე 67.55კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე ნინო გვრიტიშვილისთვის პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

საკითხის მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, პროექტთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო გვრიტიშვილმა და ითხოვა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა უფლებამოსილ ორგანოსთან; თავის მხრივ, გამგეობამ, საკითხის გამოკვლევის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია;
- **დაინტერესებული პირის ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტით, რომლის თანახმად, ნინო გვრიტიშვილი 2 (ორი) მცირეწლოვან შვილთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 2010 წლიდან, აღნიშნულს ასევე ადასტურებს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გეოლოგების" ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმით;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, **ნინო გვრიტიშვილისა და** მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის;**
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, **ნინო გვრიტიშვილი და მისი ოჯახის წევრები** დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირთათვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გასწორების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და ტექნიკური ხარვეზის გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის სტილისტურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა **თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე – 16 საკითხად** განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, გლდანში, მე-8 მ/რ, კორპუს N11-ში, პირველ სართულზე მდებარე 74.39 კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** მოქალაქე ნათია კიკნაველიძისთვის პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

საკითხის მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სახის ინფორმაცია:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა ნათია კიკნაველიძემ და ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობამ წერილობით მიმართა სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, შემდგომში, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით;
- დაინტერესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში 2010 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს და გლდანის ლუწი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე, შესაბამის მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებები.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირის ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირისათვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და ტექნიკური ხარვეზის გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა **ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს** და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე – 17 საკითხად განსაზღვრული,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ქართლელიშვილის ქუჩა N26-ში, მდებარე 30 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.013.074) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის N1 საერთო ფართობით 28.87 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე დავით თელიასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას.**

საკითხის მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო პროექტთან დაკავშირებული შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ნაძალადევის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე დავით თელიამ და ითხოვა, 2007 წლიდან, ოჯახთან ერთად ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, გამგეობამ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაინტერესებული პირის მიერ, დაახლოებით, 13 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ნაძალადევის გამგეობის შემოწმების ოქმით დგინდება, რომ დავით თელია ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს - **2007 წლიდან დღემდე, რასაც ასევე ადასტურებს, შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.**
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის ამონაწერით, დაინტერესებული პირის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს - 47010-ს.
- დავით თელიას ოჯახის წევრს, ნუგზარ თელიას საკუთრებაში ერიცხებოდა აბაშის რაიონში, სოფელ პირველ მაისში N40.09.38.202 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, **რომელიც გაასხვისა 2013 წელს**. ამასთან, ნუგზარ თელიას საკუთრებაში რეგისტრირებულია N40.09.38.130 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული **1732 კვ.მ** მიწის ნაკვეთი. სოფიო სოსელიას თანასაკუთრებაში ერიცხება ოზურგეთის რაიონის, სოფელ ნატანებში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. ასევე, თინათინ მუქერიას საკუთრებაში ერიცხებოდა სამტრედიაში, ნიკოლეიშვილის ქუჩა N25-ში, 2111 კვ.მ. საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, რომელიც გაასხვისა 2012 წელს.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირისათვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და ტექნიკური ხარვეზის გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გაშართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, განკარგულების პროექტით წარმოდგენილ შემთხვევაში, უძრავი ქონებით დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი რატომ იქნა ინიცირებული პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების ფორმით, და არა, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დაინტერესებული პირი ვერ აკმაყოფილებდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს, შეჭრილია უკვე არსებულ მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფ ფართში, რომელიც თვითონ არ აუშენებია 2007 წლამდე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე – 18 საკითხად განსაზღვრული,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი 1, № 3, სართული 1, ბინა № 1, 76.53 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად გიორგი ცაბაძისთვის პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას,

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

- გიორგი ცაბაძემ განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, აღნიშნული თხოვნის გათვალისწინებითმ საკითხის გამოკვლევის შემდგომ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, გამგეობამ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას;
- დაინტერესებული პირის მიერ, 1995 წლიდან, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებენ გიორგი ცაბაძის 2000 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას;

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირისათვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და არსებული ხარვეზების/ტექნიკური შეცდომების გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე – 19 საკითხად განსაზღვრული,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუსი N1-სა და კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) მდებარე, ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების, შემდეგი მოქალაქეებისათვის: **ელისო ქარუმიძე** (31.99 კვ.მ), **ნანა როინიშვილი** (84.13 კვ.მ) **ვენერა მილაძე** (28.16 კვ.მ) **გიორგი იაკობიძე** (52.19კვ.მ) **ნატო ებრალიძე** (55.5 კვ.მ) **მაია კურტანიძე** (56.29 კვ.მ) **ფარნაოზ ჩირგაძე** (20.4 კვ.მ) **სოფიო ხვედელიძე** (36.67 კვ.მ) **კახაბერი ხვედელიძე** (36.67 კვ.მ) **ელისაბედ ბოჭორიშვილი** (25.46კვ.მ) **ხატია ხვიჩავა** (53.53 კვ.მ), **ნატო დადვანი** (45.76 კვ.მ), **თამარ პეტრიაშვილი** (79.11კვ.მ) **ნინა გოგოლაძე** (81.94 კვ.მ), (საერთო ჯამში 687.8 კვ.მ უძრავი ქონება) პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

საკითხის მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა და ითხოვეს, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა; თავის მხრივ, გამგეობამ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- **დაინტერესებულ პირთა მიერ, 2009 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს მიერ გაცემული წერილები, ხოლო, **2008– 2010 წლებიდან** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებენ მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ამასთან, სამგორის რაიონის გამგეობის Ш მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტებით დგინდება დაინტერესებულ პირთა 2009-2011 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირთათვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს - როდესაც გამგეობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩნდება კითხვის ნიშნები, დაინტერესებული პირის მიერ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით, ხომ არ საჭიროებს საკითხი, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ დამატებით კვლევას, ან რა სახის პოლიტიკა აქვს სააგენტოს შემუშავებული.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, თუ სამართალდამცავი უწყებიდან მოწოდებულია გამოკვლეული ინფორმაცია დაინტერესებული პირის მიერ, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობასთან/ხანდაზმულობის ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით, რაც გარკვეულწილად ასევე დასტურდება არსებული ფოტომასალით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოკვლეულად მიიჩნევს დაინტერესებული პირის მიერ, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ქონების საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენების საკითხს.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე – 20 საკითხად განსაზღვრული,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ნაკადულის მე-6 გასასვლელი № 33-ში პირველ სართულზე მდებარე 50.40 კვ. მ. ფართის ბინა № 1-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად რამაზ ჯალალიშვილისთვის პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო საკითხთან დაკავშირებული შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რამაზ ჯალალიშვილმა განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, გამგეობამ საკითხის გამოკვლევის შემდგომ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას;
- დაინტერესებული პირის მიერ, **1991 წლიდან,** უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის V სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე, გამგეობის ქვემო სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტი და მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა;

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირისთვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და არსებული ხარვეზების/ტექნიკური შეცდომების გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს **უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე – 21 საკითხად განსაზღვრული**, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, **რაც ითვალისწინებს,** ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N17-ში მდებარე 112 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, **მოქალაქე ნათელა სულაძისთვის პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნათელა სულაძემ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, 112 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1-ის პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებათან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, აღნიშნულის გათვალისწინებით, ვაკის რაიონის გამგეობამ, საკითხის მოკვლევის შემდეგ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, წერილობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს.
- დაინტერესებული პირის ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მეირ გაცემული დოკუმენტები, ამასთან, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, მოქალაქე ნათელა სულაძე ოჯახთან ერთად მისამართზე 1990 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას;

- საჯარო რეესტრის ამონაწერით დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირისთვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე – 22 საკითხად განსაზღვრული,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, **რაც ითვალისწინებს,** ქ. თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე N181ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 32.73 კვ.მ ბინა N2-ის მოქალაქე სარკაზ ტამოევისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ, თანხმობის გაცემას.**

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა პროექტთან დაკავშირებული შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე სარკაზ ტამოევმა და ითხოვა, ოჯახთან ერთად 22 წლის მანძილზე ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების, პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთა შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული თხოვნის გათვალისწინებით, საკითხის გამოკვლევის შემდგომ, გამგეობამ,

კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 22 წლის მანძილზე **ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებს, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ გამოკვლეული ინფორმაცია, ამასთან, მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, დაინტერესებული პირის მიერ **1997 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას.**
- საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.**

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და **მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებულ პირისთვის პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და არსებული ხარვეზის გასწორების, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **23-ე საკითხად განსაზღვრული,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, **რაც ითვალისწინებს,** ქ. თბილისში,

საინგილოს ჩიხი N5, ნაკვეთი 59/067–ში მდებარე 3 (სამი), თვითნებურად დაკავებული, ინდივიდუალური საცხოვრებელი საცხოვრებელი ფართის (ინდ. ფართების მისამართია: ქ. თბილისი, საინგილოს ქუჩა N102) **მოქალაქეებისათვის: ვასილ კომერაშვილი, თეიმურაზ ლაცაბიძე და ზურაბ თათარაშვილი,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მიმსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებით **არსებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:**

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა მათ მიერ 2004 წლიდან, ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით; აღნიშნული თხოვნის გათვალისწინებით, ისნის რაიონის გამგეობამ **მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს,** ზემომითითებული მოქალაქეებისათვის, ფაქტობრივად დაკავებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით და სააგენტოს მიაწოდა საკითხის გამოკვლევის შედეგად მიღებული შემდეგი სახის ინფორმაცია:
- **ვასილი კომერაშვილს** – N01.17.02.059.067.01.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, **55.05** კვ.მ. მე–3 სართულზე, ინდივიდუალური ფართი **დაკავებული აქვს** ოჯახთან ერთად **2004 წლიდან; მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 1990–2019), ამჟამად პენსიონერი,** მასალებს ახლავს აღნიშნული პირის, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით, საქართველოს თანდაცვის სამინისტროს მიმართ მოთხოვნის უფლების დათმობასთან დაკავშირებით;
- **თეიმურაზ ლაცაბიძეს** – N01.17.02.059.067.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 55.72 კვ.მ. მე–2 სართულზე, ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართი **დაკავებული აქვს** ოჯახთან ერთად **2004 წლიდან, არის ვეტერანი, ომის მონაწილე, არის მოქმედი თანამშრომელი - შსს განსაკუთრებული დავალებათა დეპარტამენტის ინსპექტორი,** წოდებით უფროსი სერჟანტი. მასალებს ახლავს აღნიშნული პირის, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით, საქართველოს თანდაცვის სამინისტროს მიმართ მოთხოვნის უფლების დათმობასთან დაკავშირებით;
- **ზურაბ თათარაშვილს** – 01.17.02.059.067.01.502 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, **63.82** კვ.მ. პირველ სართულზე, ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართი **დაკავებული აქვს 2004 წლიდან,** მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე–2 ბატალიონში, სამხედრო წოდებით – თადარიგის კაპიტანი, ამჟამად პენსიაზე მყოფი, ვეტერანი, ზომიერად გამოხატული შშმ პირი, მასალებს ახლავს აღნიშნული პირის, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით,

საქართველოს თანდაცვის სამინისტროს მიმართ მოთხოვნის უფლების დათმობასთან დაკავშირებით;

მოსსენებლის მითითებით, დაინტერესებული **პირების მიერ, ინდივიდუალურ ფართებში 2004 წლიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი–სამგორის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტები და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები, ამასთან, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებულ პირთა და მათი ოჯახის წევრების სახელებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, მხოლოდ, თეიმურაზ ლაცაბიძის მეუღლეს– ქსენია ჯელაძეს (პ/ნ:57001013643) თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნის სამი სასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთი ხაშურის რაიონის სოფელ ფლევში.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ზემოაღნიშნული მოქალაქეებისათვის 2004 წლიდან თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში უძრავი ქონების მისამართის სწორი ფორმით - ქალაქი თბილისი, საინგილოს ჩიხი N5, ნაკვეთი 59/067, მითითების მიზანშეწონილობაზე, **პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პირველ პუნქტში** ქ. თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის აღნიშვნის, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გასწორების აუცილებლობაზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა **თავი შეიკავა** წარმოდგენილ **პროექტთან** დაკავშირებით **ხმის** მიცემისაგან, **ხოლო,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის

დღის წესრიგის, რიგით **24-ე საკითხად განსაზღვრული,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, **რაც ითვალისწინებს,** ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „იბერკომპანისთვის" სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ათი წლის ვადით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა, პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე:

- შპს „იბერკომპანის" დირექტორ,ა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 73 კვ. მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, აღსანიშნავია, რომ შპს „იბერკომპანის" საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 37ლ-ში მდებარე უძრავი ქონება, ს/კ: № 01.14.14.003.149.01.03.002);
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს** ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 73 კვ. მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, შემდგომში ღია კაფის მოწყობის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის № 14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 35-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 37-39-ის მიმდებარედ არსებული, № 01.14.14.003.201 მიწის საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ორთოფოტოზე მონიშნული 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანმა წლიურმა საბაზრო საიჯარო ქირამ 2021 წლის 9 ივნისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 17520 ლარი.

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „იბერკომპანისთვის" (ს/კ:№ 231963818) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა ათი წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 17520 (ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცი) ლარის სანაცვლოდ და საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორების, ასევე, პროექტის მე-2 პუნქტში ქალაქ თბილისის

მთავრობის 2021 წლის 17 ივნისის № 21.840.930 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების აუცილებლობაზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა **თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **25-ე საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ზზიპ კაფესთვის“ (ს/კ: № 404604610), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2023 წლის 15 აგვისტომდე ვადით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „ზზიპ კაფეს“, რომლის სარგებლობაშია (იჯარის ფორმით, საბოლოო თარიღით - 15.08.2023) ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა № 3-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ: № 01.15.04.020.006.01.101) წარმომადგენელმა განცხადებებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ს/კ: №01.15.04.020.030, 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით;

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებით, უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემულ რეკომენდაციებისა და საექსპერტო შეფასებების შესახებ, კერძოდ:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით **დადებითი შეფასება** მიეცა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს, შემდგომში, ღია კაფის მოწყობის მიზნით, **რეკომენდაციით - განთავსდეს მხოლოდ მაგიდები და სკამები;**

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 28 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე,მიწის ნაკვეთიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ორთოფოტოზე მონიშნული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანმა წლიურმა საბაზრო საიჯარო ქირამ 2021 წლის 27 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 6480 ლარი.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული - ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 27 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ზზიპ კაფესთვის" (ს/კ: №404604610), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, იჯარის მოქმედების ვადით - 2023 წლის 15 აგვისტომდე, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 6480 (ექვსი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარის სანაცვლოდ, ხოლო საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შეთანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და აღნიშნული პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **26-ე საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ამირა"-სთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „ამირას“, რომელიც **2026 წლის 24 მარტამდე** ვადით, იჯარის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N22/3-ში არსებულ ფართებს (ს/კ: 01.16.05.032.001.01.511), წარმომადგენელმა, განცხადებებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) **22 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, **2026 წლის 24 მარტამდე** ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემულ რეკომენდაციებისა და საექსპერტო შეფასებების შესახებ, შემდეგი სახით:

- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ საკითხი განიხილა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და მისი 20.05.21წ. გადაწყვეტილებით **დადებითი შეფასება მიეცა** 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 28 მაისის ექსპერტიზის დასკვნით აღნიშნული 22 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2021 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **3960 (სამი ათას ცხრაას სამოცი) ლარით.**

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ამირა“-სთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებითა გადაცემა **2026 წლის 24 მარტამდე,** საიჯარო ქირის წლიური საფასურის - **3960 (სამი ათას ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით** და საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებალად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **27-ე საკითხად განსაზღვრული,** „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას

გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის" (ს/კ: 404903734) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების **15 (თხუთმეტი) წლის ვადით გადაცემას,** სახანძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობის მიზნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის", რომლის საკუთრებაშია, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-3 კვარტალი, N8ა-ში მდებარე უძრავი ქონება, დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, სახანძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობის მიზნით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 7 ივნისის ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2021 წლის 4 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარით.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შესაძლებლად მიაჩნიათ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვა სახანძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობის მიზნით.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის" (ს/კ: 404903734) გადაცემა, 15 (თხუთმეტი) წლით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის 2304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარის სანაცვლოდ და საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის N21.851.969 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი